ადრესატი:

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**63-63233172**
თარიღი: **13/11/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ინფარსტრუქტურული კომისიის თავჯდომარის, ტარიელ ცომაიას ანგარიში

2023 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

კომისიამ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ჩაატარა კომისიის 9 სხდომა. მათ შორის 1 გაერთიანებული საფინანსო კომისიასთან, 1 იურიდიულ და 1 სხდომაც კულტურისა და სპორტის კომისიასთან.

ჯამში განხილული იქნა 100 -მდე სხვადასხვა ტიპის საკითხი.

სამტრედიის მერიის შესაბამის სამსახურებს რეაგირებისთვის გადაეგზავნათ 20 - მდე საკითხი, დღემდე ვახორციელებ აღნიშნული საკითხებიდან მოუგვარებელი საკითხების მონიტორინგს.

აღნიშნულ პერიოდში აქტიურად მქონდა შეხვედრები მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, როგორც სარებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე უშაოლოდ ქალაქში, სოფლებში და ადგილზე ვეცნობოდი მათ პრობლემებს და აქტიურად ვიყავი ჩართული ამ პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში

ასევე მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაგეგმვა, დაპროექტების და შემდგომ სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მონიტორინგის პროცესებში.

სამტრედიაში ბოლო წლებში უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული

წელს ჯამში სამტრედიაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 10 მილიონ ლარზე მეტი სამუშაოებზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება, წლის ბოლომდე ეს ციფრი კიდე გაიზრდება.

ამასთან ერთად განხორცილედა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული ობიეტების დაპროექტება-მშენებლობა, რა დროსაც მხვდა წილად ბედნიერება აღნიშნული გრანტების მოპოვებაში მცირედი წვლილი შემეტანა.

გამოწვევად რჩება საინჟინრო მომსახურებების შესყიდვის საკითხები, წელს ჯამში 426 ათას ლარზე მეტ საპროექტო სამუშაობზე გამოცხადდა ტენდერი, რომელთა ნაწილის განხორციელება მომავალი წლებისთვის იგეგმება. მოგეხსენებათ ბაზარზე მუდმივად იცვლება როგორც შრომითი რესურსის ასევე სამშენებლო მასალების ფასები, ამიტომ უმეტესად ხდება უკვე შეზყიდული პროექტების გადაფასება, კორექტირება, რაც ძალიან აფერხებს სამუშაოთა ტემპს. ამიტომ აუცილებელია აღნიშნული საკითხის რაიმე ფორმით მოგვარება. ვფიქრობ აღნიშნული მიმართულებით კადრების

მოზიდვა და არქიტექტურის სამსახურის გაძლიერება საგრძნობ შედეგს მოგვცემს და უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების პროცესს.

მოგეხსენებათ წლის ბოლოდან იგეგმება სამტრედიის მუნიციპალიტეტიში წყლის სისტემების, საკანალიზაციო ქსელის და სანიაღვრე არხების სრული რეაბილიტაცია, ეს იქნება სამტრედიისთვის საუკუნის პროექტი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაჭრას სამტრედიის ნომერი პირველი პრობლება, ამჟამად საპროექრტო სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს ფასთა კვლევის პროცესი, რის შემდეგ აღნიშნულ სამუშაოებზე გამოცხადდება საერთაშორისო ტგენდერი, რომელიც წინასწარი დათვლით სავარაუდო ღირებულება ჯამში 350 მილიონი ლარის ფარგლებში.

ტარიელ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე